186
1986
ეროვნული
ბიბლიოთეკა
4ღ
186

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი—თებერვალი

1986 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18405

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1986 წ.

## შინაარსი


### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლების საკითხები.

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

2. რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენის“ შექმნის შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ.
4. ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.


საქ. სსრ ... სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთ...

ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციების მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ.

6. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) ხელფასის ფონდის შექმნის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 1 საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლების საკითხები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 9 იანვრის № 42 დადგენილების — „სსრ კავშირის კანონთა წიგნის განახლების საკითხები" — შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამომცემ კომისიას კანონმდებლობის შემდგომ განვითარებასთან ნდაკავშირებით საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლებისათვის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა.

მუშაობა საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლებისათვის განხორციელდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველო სსსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლი 26 აპრილის № 327 დადგენილების — „საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადებისა და გამოცემის შესახებ" და 1979 წლის 3 აპრილის № 251 დადგენილების — „საქართველოს სსრ კანონთა წიგნის საკითხები", აგრეთვე ამ დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლების მასალებს განიხილავს და მოიწონებს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამომცემი კომისია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარდგენით.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მასალების განახლება 1986 წელს განხორციელდეს 1986 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემდეგ მოხდეს ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც 19887--988 წლებში და კვარტალში ერთხელ მაინც მომდევნო წლებში.

2. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლების მასალებს გამოსცემს დასაშლელ ფურცლებზე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", ხოლო მათ გაავრცელებს ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ხელმოწერით — საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლების მასალების ბეჭდვას სათანადო პოლიგრაფიული ბაზით უზრუნველყოფს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

3. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლებისათვის მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დაამთავროს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამოცემა 1987 წლის ბოლომდე.

4. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— წარუდგინონ მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამომცემ კომისიას დასამტკიცებლად წინა დადებანი საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლების მასალების გამოცემასთან და გავრცელებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოების წესისა და ვადების ოესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიონ ხელმომწერთა მიერ აღნიშნული მასალების დროულად მიღების უზრუნველყოფის აუცილებლობა;

— სისტემატურად მოახსენონ კომასიას საქართველოს სსრ კანონთა წიგნის განახლების მასალების გამოცემისა და გავრცელების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე
**პ. გილაშვილი**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე
**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 19 თებერვალი, № 105.

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

## 2 რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენის“ შექმნის შესახებ

„აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილების შესაბამისად და აგროსამრეწველო კომპლექსში კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების მიზნით საქა რთველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ ამ კომიტეტის შემადგენლობაში შეიქმნას რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენი“ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“, აგრეთვე სხვა სამშენებლო ორგანიზაციების, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს იმ ორგანიზაციების ბაზაზე, რომლებიც ეწევიან სასოფლო მშენებლობას და

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსაგან გადაეცემა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს „საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 10 დეკემბრის № 808 დადგენილების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ახალშექმნილი გაერთიანების სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ო. ჩერქეზიშვილი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 19 თებერვალი, № 108.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

### 3 სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადებას გარკვეულ წარმატებებთან ერთად ახლავს სერიოზული ნაკლოვანებანი. მუშათა კადრების მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება წარმოებს დაქსაქსულად საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის 53 სასწავლებელში, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მასობრივი პროფესიის მუშათა კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების 14 სასწავლო-საკურსო კომბინატსა და მათს 54 ფილიალში, რაც იწვევს დუბლირებას კადრების მომზადების თვალსაზრისით ტექნიკის, ინჟინერ-პედაგოგიური კადრების დაქსაქსვას, ხელს უშლის ახალგაზრდობის ისედაც მცირე კონტინგენტის რაციონალურად გამოყენებას, სრულყოფილი სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების სისტემატურად გადაიარაღებას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1986 წლიდან მთლიანად დაევალოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მექანიზატორების, მელიორატორებისა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რისთვისაც გადაეცეს მას ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო-საკურსო კომბინატები და მათი ფილიალები, ამასთან, შესაბამისად გადაეცეს შტატები, ხელფასისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფონდები, მუშათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმები, თანახმად დანართისა.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1986 წლიდან მთლიანად დაუგეგმოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მექანიზატორებისა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა გადასცეს მას ხელმძღვანელი კადრების სამმართველოს მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილების 3 საშტატო ერთეული, შესაბამისი ხელფასის ფონდი და ინვენტარი, ხოლო საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა შექმნას რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველო სოფლის მეურნეობისა და მელიორაციისათვის კადრების მომზადების განყოფილების ბაზაზე და გადმოცემული 3 საშტატო ერთეულისაგან.

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მოსამზადებელი კონტინგენტის შერჩევის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში მათი გაგზავნის, მომზადებული კადრების სპეციალობების მიხედვით სამუშაოზე მიღებისა და დამაგრებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეებს, ხოლო მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებისათვის — შესაბამისი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელობას.

4. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა შეადგინონ დანართში აღნიშნული კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო-საკურსო კომბინატებისა და მათი ფილია-

ლების მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვა-გამოშვების გრაფიკი იმ ვარაუდით, რომ სწავლება დამთავრდეს 1986 წლის 1 ივლისამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ყოველწლიურად უსასყიდლოდ გამოუყოს სოფლის მეურნეობის პროფილის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და სასწავლო-საკურსო კომბინატებს უახლესი მარკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

6. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა მიიღონ ჯეროვანი ზომები ორგანიზაციული ეტაპის პერიოდში მუშათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 10 იანვარი, № 12.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 10 იანვრის №12 დადგენილების დანართი

## ს ი ა

### სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო-საკურსო კომბინატებისა და მათი ფილიალებისა, რომლებიც 1986 წლიდან ბალანსიდან ბალანსზე გადაეცემა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს

1. რესპუბლიკური სათავო სასწავლო-საკურსო კომბინატი — გარდაბნის, თიანეთის, დუშეთის, საგარეჯოსა და ყაზბეგის ფილიალებით.
2. მარნეულის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროსა და წალკის ფილიალებით.
3. ლაგოდეხის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — ლაგოდეხის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, სიღნაღისა და წითელწყაროს ფილიალებით.
4. ახალციხის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის ფილიალებით.
5. ქარელის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — ქარელის, ლენინგორის, ცხინვალის, ჯავისა და ზნაურის ფილიალებით.
6. ხაშურის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — ხაშურის, ბორჯომის, ორჯონიკიძის, საჩხერისა და ჭიათურის ფილიალებით.
7. წყალტუბოს სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — წყალტუბოს. ვანის, მაიაკოვსკის, ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, თერჯოლისა და ზესტაფონის ფილიალებით.
8. გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — გეგეჭკორის, წულუკიძის, ცაგერისა და ლენტეხის ფილიალებით.
9. ცხაკაიას სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — ცხაკაიას, აბაშის, სამტრედიისა და ჩხოროწყუს ფილიალებით.
10. მახარაძის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ფილიალებით.
11. ქობულეთის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოსა და შუახევის ფილიალებით.
12. ზუგდიდის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხისა და ხობის ფილიალებით.
13. ოჩამჩირის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — ოჩამჩირის, გალის. გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის ფილიალებით.
14. გორის სარაიონთაშორისო სასწავლო-საკურსო კომბინატი — გორის, მცხეთისა და კასპის ფილიალებით.
15. გურჯაანის სასწავლო-საკურსო პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. **ხუნწარია**

## 4 ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს „სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლის ასამაღლებლად საქართველოს სსრ ქალაქ ფოთში მიმდინარე ექსპერიმენტის შემდგომი განვითარების შესახებ“ მოწონებული დებულება ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შესახებ.

2. დამტკიცდეს ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ ქალაქ ფოთის საწარმოებისა და ორგანიზაციების ნუსხა, დანართის თანახმად[1].

3. ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებთან შეთანხმებული ფოთის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

4. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად განიხილოს ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხი ამისათვის საჭირო ხარჯების დაფარვის წყაროების გამონახვის გათვალისწინებით და სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 8 აპრილის № 255 დადგენილებით დამტკიცებული დებულება ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 15 იანვარი, № 23.

---

1) ნუსხა არ მოიყვანება

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 15 იანვრის № 23 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება იქმნება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტერიტორიულ-დარგთაშორისი და შინასამეურნეო რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, სახალხო დეპუტატთა საბჭოს ორგანოების მიერ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ქალაქ ფოთის საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის სისტემის ფორმირების, საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მისაღწევად მშრომელთა ინდივიდუალური და კოლექტიური სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების ორიენტაციის მიზნით.

2. გაერთიანება არის ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედიან ქალაქ ფოთში განლაგებული რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები.

გაერთიანების შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა გამგებლობაში არსებული საწარმოები და ორგანიზაციები შეიძლება შეყვანილ იქნენ გაერთიანების შემადგენლობაში მმართველობის შესაბამის დარგობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებსა და უწყებრივ კუთვნილებას. თავიანთ საქმიანობაში ისინი ხელმძღვანელობენ მათთვის დამტკიცებული დებულებებით, წესდებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, ამ დებულებით.

საჭირო შემთხვევებში გაერთიანებას შეუძლია შექმნას დადგენილი წესით გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარი ცენტრალიზებული ფონდების ხარჯზე ან წილობრივ საწყისებზე.

უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისათვის გაერთიანება წარმოადგენს მართვის ზემდგომ ორგანოს.

გაერთიანება ახორციელებს სამეურნეოანგარიშიან საქმიანობას, რომლის მიზანია კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა მეცნიერულ-ტექნიკური

პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის ხელშეწყობის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების, კვების პროდუქტების წარმოების, რესურსების რაციონალური გამოყენების ნაწილში, აგრეთვე ქალაქის ეკონომიკის განვითარების სხვა საკითხებისა.

3. გაერთიანების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმები განისაზღვრება როგორც მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა გეგმების ჯამი, გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების ჩათვლით, და მტკიცდება სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ.

გაერთიანებას შეუძლია შეიმუშაოს წინადადებანი მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა შემხვედრ გეგმებში საგეგმო მაჩვენებლების მხრივ უფრო დაძაბული დავალებების შესატანად და უწევს დახმარებას მიღებული შემხვედრი გეგმების შესრულებაში.

4. გაერთიანების საქმიანობა მიზნად ისახავს მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას მინიმალური დანახარჯებით მთლიანად გაერთიანების და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების თითოეული შრომითი კოლექტივის ინტერესების საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან უფრო მჭიდრო კავშირის საფუძველზე.

გაერთიანება, იყენებს რა მისთვის მიჩენილ ქონებას, ახორციელებს თავის საქმიანობას ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმის შესაბამისად, ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პასუხს აგებს და სარგებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და არის იურიდიული პირი.

გაერთიანება მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ამასთან უზრუნველყოფს მმართველობის აპარატის შენახვას და მისი სამეურნეო ფუნქციების განხორციელებას, აგრეთვე თავისი განვითარებისათვის საჭირო ოდენობით შემოსავლის მიღებას, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების, რეზერვებისა და გაერთიანების სხვა აქტივების შექმნას.

გაერთიანებას შეიძლება გამოეყოს ან გადაეცეს კაპიტალური დაბანდებანი დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროებიდან.

5. გაერთიანების ძირითადი ამოცანებია:

— წარმოების ეფექტიანობისა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლების დამატებითი რეზერვების გამონახვა და გამოყენება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დაჩქარებისათვის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა, თვითღირებულების შემცირება, აგრეთვე მოსახლეობის კულტურული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების საფუძველზე;

— მატერიალური, ფინანსური, შრომითი რესურსების, ადგილობრივი და მეორეული ნედლეულის და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მოცულობის გასადიდებლად;

— ხელშეწყობა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ღონისძიებათა კონცენტრაციისათვის საქმიანობის მთავარ მიმართულებებზე (სახელმწიფო გეგმების შესრულება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, განვითარების პერსპექტივები და ა. შ.);

— წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება ადგილობრივი და მეორეული ნედლეულის და წარმოების ნარჩენების გამოყენების საფუძველზე, დამხმარე და მომსახურე წარმოებათა კონცენტრაციის დონის ამაღლება;

— ტერიტორიულ-დარგთაშორისი კავშირურთიერთობის განვითარება;

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ხელშეწყობა;

— როგორც მთლიანად გაერთიანების, ისევე მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით საწარმოო კავშირურთიერთობის ფორმირება, რაც უზრუნველყოფს მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას რესურსების მინიმალური დანახარჯებით და ხელს შეუწყობს ამ გაერთიანების შრომითი კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას;

— გეგმაზომიერი და რაციონალური მიწოდების უზრუნველყოფა, დაწესებული მოცულობის, ნომენკლატურისა და ხარისხის მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შესრულებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით;

— ერთიანი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებისათვის ხელშეწყობა, რომლის მიზანია კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარება და გამოყენების გაუმჯობესება;

— ქალაქ ფოთის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის ამაღლება მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის გზით;

— ხელშეწყობა და მონაწილეობა ქალაქის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის გაუმჯობესების უზრუნველყოფაში და ყოველგვარი რესურსების ეკონომიის მიღწევა;

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ქალაქ ფოთის საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის სისტემის სრულყოფა;

— მშრომელთა მონაწილეობის გაფართოება წარმოების მართვაში, შემხვედრი გეგმების შემუშავებაში, მათი შესრულების ორგანიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების გაუმჯობესებაში, ხელშეწყობა მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის.

6. გაერთიანება თავის საქმიანობაში ექვემდებარება ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

7. თავის საქმიანობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და ამ დებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. ხელმძღვანელობა გაერთიანებისადმი

1. გაერთიანების უმაღლესი ორგანოა მისი საბჭო, რომელსაც ქმნის გაერთიანების ხელმძღვანელობის წარდგენით სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობას გაერთიანების საქმიანობისადმი ამ დებულებით გათვალისწინებული ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, ქალაქის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

2. გაერთიანების საბჭოს შემადგენლობაში შედიან გაერთიანების უფროსი, მისი მოადგილეები, გაერთიანების განყოფილების უფროსები, გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. მასში აგრეთვე შეიძლება შეყვანილ იქნენ მოწინავე მუშები, შესაბამისი სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეა გაერთიანების უფროსი.

გაერთიანების საბჭოს რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს და ცვლის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

გაერთიანების საბჭოს მუშაობაში შეიძლება მიწვეულ იქნენ საჭირო შემთხვევებში აგრეთვე ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე განლაგებულ იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომლებიც გაერთიანების შემადგენლობაში არ შედიან.

3. გაერთიანების საბჭო მოიწვევა კვარტალში ერთხელ მაინც. გაერთიანების საბჭოს სხდომები უფლებამოსილად ითვლება, თუ მათში მონაწილეობს მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. საბჭოს გადაწყვეტილებანი მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მიიღება ხმის უმრავლესობით ღია კენჭისყრით და სავალდებულოა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

4. გაერთიანების საბჭოს განსახილველად შესატან საკითხებზე გადაწყვეტილებათა განხილვისა და მომზადების პრობლემათა შესასწავლად შეიძლება შეიქმნას კომისიები მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

კომისიების შემადგენლობას და მათი მუშაობის წესს ამტკიცებს გაერთიანების საბჭო.

5. გაერთიანების საბჭო განიხილავს:

— გაერთიანების და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებს, წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტებს;

— საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს;

— შეფასებას აძლევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი მოქმედი საწარმოებისა და ორგანიზაციების ტექნიკური კვლავაღჭურვის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების შემუშავებულ პროექტებს;

— მთლიანად გაერთიანების და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით გეგმების შესრულების მიმდინარეობას;

— წინადადებებს ქალაქის ტერიტორიაზე წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციის, კომბინირებისა და კოოპერირების ცვლილების შესახებ;

— მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების დანერგვის შედეგებს და წინადადებებს გაერთიანებასა და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში მათი სრულყოფის შესახებ;

— საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიწოდების გეგმების შესრულებას;

— კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების ვადების დაცვას და ეფექტიანად გამოყენებას;

— მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის მიმდინარეობას, ამ პროგრამების შესაბამისად ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებს;

— ქალაქ ფოთის მართვის ავტომატიზებული სისტემის ამოცანების, ამოცანათა კომპლექსებისა და ქვესისტემების პროექტებს, მათი შემუშავებისა და რეალიზაციის მიმდინარეობას;

— მთლიანად გაერთიანების და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობასა და მდგომარეობას, ფინანსური სახსრების გამოყენების შედეგებს;

— საკრედიტო-საანგარიშსწორებო მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას;

— გაერთიანებასა და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებს, შემხვედრი გეგმების მიღების წესსა და შესრულებას.

6. გაერთიანების საბჭო:

— განსაზღვრავს გაერთიანებისათვის მიჩენილი ფინანსური სახსრების (ფონდები) გამოყენების ძირითად მიმართულებებს დადგენილი წესით დამტკიცებული ამ სახსრების (ფონდების) შექმნისა და გამოყენების დებულებათა შესაბამისად;

— ანაწილებს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდების მიხედვით სახსრებს, რომლებიც მიღებულია გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ადგილობრივ ბიუჯეტში ზეგეგმითი მოგების 50 პროცენტის ჩარიცხვის ხარჯზე;

— ამტკიცებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაერთიანების საქმიანობის ცალკეული მხარეების მარეგლამენტებელ დებულებებს, ინსტრუქციებს, სტანდარტებს, რომლებიც სავალდებულოა მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის;

— ისმენს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე.

7. გაერთიანების საქმიანობისადმი ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს მმართველობის აპარატი, რომელსაც სათავეში უდგას გაერთიანების უფროსი.

გაერთიანების უფროსი უზრუნველყოფს გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და პასუხს აგებს გაერთიანების საქმეთა ვითარებისა და მუშაობისათვის.

გაერთიანების უფროსი თანამდებობის მიხედვით არის ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

გაერთიანების უფროსს ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია.

8. გაერთიანების უფროსი წარმოადგენს გაერთიანების ინტერესებს ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად, განაგებს გაერთიანების სამმართველოსათვის მიჩენილ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებით), ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

გაერთიანების უფროსი იღებს გადაწყვეტილებებს გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების მიხედვით იმ სახსრების განაწილების შესახებ, რომლებიც მიღებულია გაერთიანების სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის შედეგად.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაერთიანების უფროსი გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებს, იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკებს, აგრეთვე დადგენილი წესით — გაერთიანების მიერ შექმნილ და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს, იყენებს ამ მუშაკთა მიმართ წახალისების ღონისძიებებს და ადებს მათ სასჯელს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

გაერთიანების უფროსი აუქმებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან იძლევა შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს ბრძანებათა შეცვლის შესახებ, თუ ეს ბრძანებანი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, ამ დებულებასა და სხვა ნორმატიულ აქტებს, აგრეთვე გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებებს.

9. გაერთიანების უფროსის მოადგილეებს, ძირითად ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს და უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი გაერთიანების უფროსის წარდგენით.

გაერთიანების უფროსის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ მინდობილობის გარეშე, ამასთან წარმოადგენენ გაერთიანების ინტერესებს სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზა-

ბიბლიოთეკა

ციებში, ასრულებენ სამეურნეო ოპერაციებს და დებენ ხელშეკრულებებს, აგრეთვე აძლევენ მინდობილობებს გაერთიანების მუშაკებს.

გაერთიანების უფროსის პირველი მოადგილე თანამდებობის მიხედვით არის გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

10. გაერთიანების მმართველობის აპარატის სტრუქტურას, საშტატო ერთეულების რიცხოვნობას და მისი შენახვის საერთო ხარჯების ოდენობას განსაზღვრავს გაერთიანების საბჭო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაერთიანებისათვის დადგენილი წესით გადაცემული მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტების ფარგლებში.

11. გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შეფასება და მმართველობის აპარატის მუშაკთა შრომის სტიმულირება ხორციელდება გაერთიანების საგეგმო დავალებათა შესრულების შედეგების მიხედვით (განხორციელებული ამოცანების გათვალისწინებით) შემდეგი მაჩვენებლებით:

— პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, დადებული ხელშეკრულებების (შეკვეთების) შესაბამისად ნომენკლატურის (ასორტიმენტის), ხარისხის მიხედვით და ვადებში მიწოდების ვალდებულებებიდან გამომდინარე;

— შრომის ნაყოფიერების ზრდა;

— წარმოებაზე დანახარჯების შემცირება (მოგების გადიდება);

— ხელფასის ფონდის 1 მანეთზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მათ შორის ადგილობრივი და მეორეული ნედლეულისა და წარმოების ნარჩენებისაგან;

— საქონელბრუნვისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობა.

### III. გაერთიანების ქონება

1. გაერთიანების ქონება შედგება გაერთიანებისათვის მიჩენილი ძირითადი და საბრუნავი სახსრების, ფონდების, რეზერვებისა და სხვა ქონებისაგან.

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებზე; ხოლო გაერთიანებისათვის მიჩენილი ქონება — გაერთიანების სამმართველოს დამოუკიდებელ ბალანსზე.

2. გაერთიანებაში იქმნება შემდეგი ცენტრალიზებული ფონდები და რეზერვები:

— მატერიალური წახალისების ფონდი;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

— წარმოების განვითარების ფონდი;

— საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის ფონდი.

3. მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდები იქმნება მმართველობის დარგობრივი ორგანოების თანხმობით გა-

ერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესაბამისი ფონდების ხარჯზე, ამასთან გაერთიანებას გადაეცემა ამ ფონდების ხარჯზე ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები და საიჯარო სამუშაოთა მოცულობანი. აღნიშნული ფონდებიდან გაერთიანებისათვის ანარიცხების ოდენობა განისაზღვრება ზემოხსენებული საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების თანხმობით.

გაერთიანება აცენტრალიზებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ფართო მოხმარების ფონდის სახსრების 5-მდე პროცენტს, აგრეთვე აღნიშნული ფონდის იმ სახსრების 20-მდე პროცენტს, რაც მიიღეს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისათვის გაერთიანების უშუალო მონაწილეობით.

უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ცენტრალიზაცია ხდება დადგენილი წესით.

4. მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები ხმარდება:

— საწარმოთა და ორგანიზაციათა ანალოგიური ფონდების შევსებას მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესებასთან დაკავშირებით, მათ შორის დახმარების გაწევას წლის მუშაობის შედეგების მიხედვით გასამრჯელოს გასაცემად;

— გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პრემირებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალებების შესრულებისათვის;

— საქალაქო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მატერიალურ წახალისებას;

— გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკთა პრემირებას გაერთიანების მუშაობის შედეგების მიხედვით (კვარტალი, წელი), განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვის ხელშეწყობისათვის, ხელფასის ფონდის 1 მანეთზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის, აგრეთვე მათთვის მატერიალურ დახმარების გაწევას.

5. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდის სახსრები ხმარდება:

— საწარმოთა და ორგანიზაციათა ანალოგიური ფონდების შევსებას მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესებასთან დაკავშირებით;

— საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბების, დასასვენებელი სახლების, სამკურნალო დაწესებულებების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას, გაფართოებასა და კაპიტალურ რემონტს, ზემოაღნიშნული ობიექტებისათვის გათვალისწინებული სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენას;

— სოციალურ-კულტურული ხასიათის ღონისძიებათა შესრულებისათვის გამოყენებული გრძელვადიანი კრედიტების დაფარვას;

საქ. სსრ კ. მარქსის

— ინდივიდუალურ და კოოპერაციულ მშენებლობაში მატერიალური დახმარების გაწევას, აღმზრდელობით, კულტურულ-მასობრივ და საგანმანათლებლო ღონისძიებათა განხორციელებას, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ახალშექმნილი და მოქმედი საწარმოებისათვის კადრების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

— გაერთიანების მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

6. წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები ხმარდება:

— ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციის, კომბინირებისა და კოოპერირების განვითარების ღონისძიებათა განხორციელებას;

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის ღონისძიებათა დაფინანსებას;

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ მოქმედ საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის დაფინანსებას;

— სახალხო მოხმარების საქონლის, დარგთაშორისი დანიშნულების პროდუქციის გამოსაშვებ საამქროთა, უბანთა და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობის, სავაჭრო ორგანიზაციათა, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას;

— სატრანსპორტო საშუალებების, მანქანებისა და მოწყობილობის, სამეურნეო ინვენტარის შეძენას;

— გაერთიანების მიერ ტექნიკური განვითარებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად ბანკის გრძელვადიანი კრედიტების დაფარვას;

— საჭირო შემთხვევებში დადგენილი წესით გაერთიანების დაქვემდებარებაში საწარმოთა და ორგანიზაციათა შექმნას ცალკეული სამუშაოებისა და საწარმოო ხასიათის მომსახურების შესასრულებლად.

აღნიშნული ფონდის სახსრები ცალკეულ შემთხვევებში ხმარდება ახალი საამქროებისა და საწარმოო ობიექტების მშენებლობას, თუ ასეთი მშენებლობა დაკავშირებული არაა საწარმოთა საერთო რეკონსტრუქციასთან და გამოწვეულია საწარმოო აუცილებლობით.

7. საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად რეზერვის შექმნისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვის გამოუყენებელი თანხები არ ჩამოერთმევა და გადადის მომდევნო წელს.

9. გაერთიანება პასუხს აგებს თავისი ვალდებულებების მიხედვით მისთვის მიჩენილი ქონებისათვის. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სა-

წარმოები და ორგანიზაციები პასუხს აგებენ თავიანთი ვალდებულებების მიხედვით ქონებისათვის, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

ბიბლიოთეკა

### IV. გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

1. გაერთიანების უფლება-მოვალეობებს ახორციელებენ გაერთიანების საბჭო, გაერთიანების უფროსი და მოვალეობათა დაწესებული განაწილების მიხედვით — მისი მოადგილეები და გაერთიანების სხვა თანამდებობის პირები, ხოლო ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად, შეთანხმებით ან მისი მონაწილეობით.

2. უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში:

— გაერთიანება, როგორც ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამუშაო აპარატი დაგეგმვის დარგში, ამზადებს:

ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს, რომლებიც შეიცავენ საწარმოთა და ორგანიზაციათა (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) გეგმების ძირითად მაჩვენებლებს, აგრეთვე გაერთიანების საკუთარი რესურსებისა და წილობრივ საწყისებზე გამოყენებული სახსრების ხარჯზე საწარმოო, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საერთო საკითხთა გადაწყვეტასთან დაკავშირებულ მაჩვენებლებს;

წინადადებებს საქალაქო მიზნობრივი პროგრამების ფორმირებისა და რეალიზაციის შესახებ;

ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის, სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეების, შრომითი რესურსების, ქალაქის მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსებს, საწარმოთა და ორგანიზაციათა ენერგეტიკულ, მატერიალურ, შრომისა და სხვა ბალანსებს, აგრეთვე ქალაქ ფოთის სოციალური დროის ბიუჯეტს ქალაქის კომპლექსური განვითარების დასაგეგმად;

წინადადებებსა და შენიშვნებს საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, რეგიონალური და სხვა პროგრამების გამო, რომლებიც ითვალისწინებენ ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიაზე განლაგებული ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისა და სამრეწველო კვანძების ფორმირებასა და განვითარებას;

ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავეთა რიცხოვნობის ლიმიტების პროექტებს;

დასკვნებს ხუთწლიანი გეგმების პროექტების, საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ამ გეგმების ცვლილებების თაობაზე წინადადებების გამო მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების საკითხთა ნაწილში;

წინადადებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და წარმოების ეკონომიკური სტიმულირების საკითხებზე, რომლებიც წარედგინებათ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებს;

დასკვნებს ქალაქის ბიუჯეტის პროექტისა და მისი შესრულების გამო;

გადაწყვეტილებათა (დასკვნათა) პროექტებს ქალაქ ფოთის ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის და გეგმების შესრულების უზრუნველყოფის საკითხებზე.

ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების პროექტები, ამ ქვეპუნქტში აღნიშნული ბალანსები, წინადადებანი, დასკვნები, შენიშვნები განსახილველად წარედგინება ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას;

— გაერთიანება განიხილავს და ითვალისწინებს მმართველობის დარგობრივი ორგანოების მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილ ცვლილებებს, რომლებიც შეიტანება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა მაჩვენებლებში, აგრეთვე ადგილობრივი და მეორეული ნედლეულის და წარმოების ნარჩენების გამოყენების გეგმათა, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმათა მაჩვენებლებში;

— გაერთიანება მონაწილეობს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხუთწლიან და წლიურ გეგმათა პროექტების შემუშავებაში, ათანხმებს საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების ხუთწლიან და წლიურ გეგმათა პროექტებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხთა ნაწილში;

— გაერთიანებას შეაქვს ხუთწლიან და წლიურ გეგმათა პროექტებში დავალებანი და ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ:

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გეგმაზომიერ ზრდას ქალაქის ტერიტორიაზე;

მშრომელთა კეთილდღეობის ზრდას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის პროპორციულად ქალაქის ტერიტორიაზე;

მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას რესურსების მინიმალური დანახარჯებით;

ქალაქ ფოთში წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციის, კომბინირებისა და კოოპერირების უპირატესობათა გამოყენებას;

რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვა რაიონებთან პირდაპირი საწარმოო კავშირურთიერთობის სრულყოფას;

ქალაქის განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას;

პროდუქციის საექსპორტო მიწოდების გაფართოებას;

ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას ძირითადად ადგილობრივი ნედლეულის რესურსების ბაზაზე;

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასა და ასორტიმენტის გაფართოებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობების, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, საზოგადოებრივი მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარებას;

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, რომლის მიზანია შრომის, ენერგიისა და მასალების დამზოგველი პოლიტიკის რეალიზაცია;

სასურსათო პროდუქტების წარმოების მოცულობისა და ნომენკლატურის და სხვა საგეგმო მაჩვენებლების შესაბამისობას ქალაქის სასურსათო პროგრამის დავალებებთან;

შრომითი, მატერიალური, ფინანსური და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, გარემოს დაცვის ღონისძიებათა შესრულებას;

საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების ღონისძიებებიდან გამომდინარე ამოცანების გადაწყვეტას.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა პროექტების მომზადებისას გაერთიანება ითვალისწინებს ამომრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს და შრომითი კოლექტივების წინადადებებს;

— გაერთიანება ახორციელებს კონტროლს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი;

— გაერთიანება, როგორც ზემდგომი ორგანო, უმტკიცებს უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს წარმოების, კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა მაჩვენებელთა საგეგმო დავალებებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გაერთიანებისათვის დამტკიცებული გეგმების ფარგლებში;

— გაერთიანებას, როგორც ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამუშაო აპარატს, უფლება აქვს მიიღოს დადგენილი წესით:

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებების და სამმართველოებისაგან და ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმათა პროექტების შედგენისათვის, აგრეთვე ცალკეულ სამეურნეო საკითხებზე წინადადებათა მომზადებისათვის საჭირო საგეგმო და გაანგარიშებული მაჩვენებლები და სხვა მასალები;

ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმათა, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმათა კრებსითი ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებისათვის საჭირო გაანგარიშებანი და მაჩვენებლები;

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოსაგან გეგმათა პროექტების შემუშავებისათვის, გეგმების შესრულებისადმი კონტროლის განსახორციელებლად, ცალკეულ ეკონომიკურ საკითხებზე წინადადებათა შემუშავებისათვის საჭირო ყველა სტატისტიკური მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უფლება-მოვალეობანი დარგთაშორისი საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დარგში:

— გაერთიანება:

კოორდინაციას უწევს საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას;

აცენტრალიზებს ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულებას (დარგთაშორისი გამოყენების პროდუქციის წარმოება, სატრანსპორტო-საწარმოო მომსახურება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვ.) ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაცითა მოთხოვნილების გათვალისწინებით;

ახორციელებს ქალაქის შიგნით, აგრეთვე სხვა რეგიონების საწარმოებთან და გაერთიანებებთან, მათ შორის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებთან ყველაზე რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის დამყარების ღონისძიებებს;

ორგანიზაციას უწევს კონტროლს დარგთაშორისი საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, ხოლო საჭიროების კვალობაზე ახორციელებს დადგენილი წესით გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შემოწმებას, განიხილავს შემოწმების შედეგებს, იღებს მათ გამო შესაბამის გადაწყვეტილებებს;

შეიმუშავებს და ახორციელებს წარმოების ტერიტორიული კოოპერაციის მართვის მეთოდების სრულყოფის ღონისძიებებს;

ახორციელებს კონტროლს ადგილობრივი და მეორეული ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების გამოყენებისადმი, ქალაქ ფოთში განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) დამხმარე სასოფლო მეურნეობათა განვითარების კოორდინაციას;

— გაერთიანებას უფლება აქვს:

დააკისროს ცალკეულ სამუშაოთა და საწარმოო-სამეურნეო ხასიათის მომსახურების შესრულება გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ძირითადი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის მიუყენებლად;

შეიტანოს მმართველობის დარგობრივ ორგანოებთან შეთანხმებით გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმოების გეგმებში დარგთაშორისი დანიშნულების პროდუქციის დამზადების დავალებანი თავისუფალი საწარმოო სიმძლავრეების არსებობისას.

4. უფლება-მოვალეობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში:

— გაერთიანება:

ხელს უწყობს ახალი ნაკეთობების, მასალების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების წარმოების ათვისებისა და გამოშვების, ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგობრივ ღონისძიებათა განხორციელებას ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მათს ფართოდ დანერგვას ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ხელს უწყობს დარგობრივ გეგმებში გათვალისწინებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას და ორგანიზაციას უწევს სამუშაოებს მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში როგორც საწარმოო, ისევე არასაწარმოო სფეროში ზემოაღნიშნული მიღწევების გავრცელებისათვის;

ახორციელებს სისტემატურ კონტროლს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა რეალიზაციისა და მისი ატესტაციის ჩატარებისადმი;

დახმარებას უწევს საწარმოებსა და ორგანიზაციებს ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფაში შემოქმედებითი კოლექტივების მიზანდასახული საქმიანობის ორგანიზაციის გზით;

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქალაქო საბჭოსთან და ხარისხის საქალაქო სახლთან ერთად ატარებს კონფერენციებს, სემინარებს, თათბირებს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საკითხებზე;

კოორდინაციას უწევს რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო მუშაობას ქალაქში, იღებს ზომებს შეძენილი მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის.

5. უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების დარგში:

— გაერთიანება:

საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან ერთად მათ შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ახორციელებს ხელმძღვანელობას პროდუქციის მიწოდების ფონდის განყოფილებისადმი;

ახორციელებს კონტროლს და პასუხს აგებს იმისათვის, რათა დროულად წარუდგინოს საქართველოს სსრ სახმომარაგებას კრებსითი სპეციფიკაცია ქალაქ ფონდში განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი ფონდების მიხედვით.

ხელს უწყობს ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი ზემდგომი დარგობრივი ორგანოებისაგან მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების დროულად მიღებაში;

იღებს გადაწყვეტილებებს და აძლევს განყოფილებას შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის რესურსების ოპერატიული მანევრირებისათვის მათთვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში;

ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას პროდუქციის მიწოდების ფონდის განყოფილების სტაბილური საქმიანობის საჭირო პირობების შესაქმნელად (საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, მანქანა-მექანიზმების შეკეთებაში ხელშეწყობა, პროდუქციისათვის ანგარიშების ანაზღაურება, განყოფილების მიერ ანგარიშების დროულად წარდგენა);

ეროვნული

— გაერთიანება კონტროლს უწევს:

მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერია-ლურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციას;

გამოყოფილი ფონდების რეალიზაციის, ნედლეულის, მასალების, ნავთობ-პროდუქტების ეკონომიის დაწესებულ დავალებათა შესრულების მიმდინარეობას და ხელს უწყობს რესურსების ეკონომიისათვის შემუშავებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა რეალიზაციაში;

ადგილობრივი და მეორეული ნედლეულის, წარმოების ნარჩენების გამოყენებას;

— გაერთიანება:

იყენებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გეგმის გადამეტებით ადგილობრივი ინიციატივის წესით დამზადებულ ფონდირებულ მასალებსა და მოწყობილობას საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის საჭიროებისათვის, აგრეთვე საწარმოებსა და ორგანიზაციებში საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის;

ამტკიცებს დადგენილი წესით იმ სამრეწველო ნარჩენების ნომენკლატურასა და ტექნიკურ მახასიათებლებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს საწარმოო-ტენიკური საჭიროებისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისათვის;

ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ სახმომარაგების ნებართვით საწარმოო დანიშნულების პროდუქციის გასაღებას, იღებს ზომებს ყველაზე რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის დასამყარებლად, უზრუნველყოფს გაერთიანების საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის რეკლამას.

— გაერთიანებას უფლება აქვს:

მიიღოს საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან შეთანხმებით გადაწყვეტილებანი გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შესახებ და განახორციელოს, საჭიროების შემთხვევაში, ერთსახელიანი პროდუქციის გაცვლა ქალაქ ფოთში განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის;

გამოიყენოს ქალაქის საჭიროებისათვის გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დაზოგილი მასალებით პროდუქციის წარმოების კვარტალური გეგმების გადამეტებით დამზადებულ საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის 50 პროცენტამდე, იმ პირობით, თუ მთლიანად გაერთიანების ხაზით წლის დამდეგიდან შესრულდა წარმოების გეგმები ნომენკლატურის მიხედვით, აგრეთვე პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი;

მიიღოს გადაწყვეტილებანი გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი და მეორეული ნედლეულისა და წარმოების ნარჩენებისაგან დამზადებული პროდუქციის რეალი-

ზაციის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

ბიბლიოთეკა

6. უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში:

— გაერთიანება:

ამტკიცებს ახალი ობიექტების მშენებლობის, საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების მოქმედი საწარმოების (ორგანიზაციების) ტექნიკური კვლავაღჭურვის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებსა და სატიტულო სიებს, რაც ხორციელდება ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდების და გაერთიანების საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების კოოპერირების ხარჯზე;

აცენტრალიზებს საჭიროების კვალობაზე შემკვეთისა და ტექნიკური ზედამხედველობის ფუნქციებს მშენებლობაში;

ახორციელებს კონტროლს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის მიმდინარეობისადმი და ხელს უწყობს მათ აღნიშნულ მუშაობაში;

ხელს უწყობს ახალამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას მათი ათვისების ხანგრძლივობის ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

— გაერთიანება ახორციელებს:

უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების და გაერთიანების მმართველობის აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა და მოსამსახურეთა შერჩევასა და განაწილებას, აგრეთვე მონაწილეობს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებით დაკომპლექტებაში დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით;

მონაწილეობას ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაწინაურებლად კადრების რეზერვების მომზადებაში;

კონტროლს შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდას შორის სწორი თანაფარდობის დაცვისა და შრომის ანაზღაურების თაობაზე მოქმედი დებულებების გამოყენების სისწორისადმი;

საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიხედვით შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული კოლექტიური ფორმების გავრცელებას.

გაერთიანება:

უზრუნველყოფს მართვის სტილის, ფორმებისა და მეთოდების განუწყვეტელ სრულყოფას მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

მონაწილეობს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ამ მუშაკების მიმართ წახალისების ან სასჯელის ზომების გამოყენების შესახებ წინადადებათა მომზადებაში;

ახორციელებს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად [illegible]ბას წარმოების მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმისათვის, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, შემხვედრი გეგმების მიღებისა და რეალიზაციისათვის;

უფლება აქვს შეუთანხმოს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიის ოდენობა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს;

— შრომითი შეთანხმებების მიხედვით გარეშე ორგანიზაციებისაგან მიწვეულ მაღალკვალიფიციურ მუშაკთა შრომის ანაზღაურება, აგრეთვე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისათვის სოციალურ-ეკონომიკური ექსპერიმენტების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე წამყვან მეცნიერ მუშაკთა, სპეციალისტთა კონსულტაციების ანაზღაურება ხდება ხელფასის ფონდის ხარჯზე.

8. უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში:

— გაერთიანება:

სარგებლობს დადგენილი წესით ბანკის კრედიტით იმ ღონისძიებათა შესრულებისათვის, რომლებიც ცენტრალიზებულად ხორციელდება, და პასუხს აგებს კრედიტის მიზნობრივი გამოყენებისა და დროული დაბრუნებისათვის;

ამტკიცებს დადგენილი წესით სახელშეკრულებო საბითუმო და საცალო ფასებს რესპუბლიკის ფარგლებში სარეალიზაციო სახალხო მოხმარების ახალ სახეობათა საქონლის პირველ პარტიებზე;

სწავლობს და აანალიზებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებასთან, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქალაქო განყოფილებებთან ერთად საფინანსო მუშაობის მდგომარეობას, კვარტალურ, წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, ძირითადი საქმიანობის რევიზიის აქტებს, მონაწილეობს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშის განვითარების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებს იმ პროდუქციის (მომსახურების) ნაწილში, რომლის ფასების დაწესების უფლება შესაბამისი საწარმოების (ორგანიზაციების), აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომპეტენციას განეკუთვნება;

შეიმუშავებს და ახორციელებს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) მიერ ფასებისა და ტარიფების დაწესებასა და გამოყენებაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს;

ხსნის დადგენილი წესით სსრ კავშირის ბანკების დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს და ასრულებს მათ გამო შესაბამის ოპერაციებს;

ქმნის რეზერვებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

გადასცემს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს უსასყიდლოდ ბალანსიდან ბალანსზე შენობა-ნაგებობებსა და მოწყობილობას, რომელთა დაფინანსება გაერთიანების სახსრების ხარჯზე ხდებოდა;

ჩამოსწერს დადგენილი წესით საკუთარი ბალანსიდან მორალურად მოძველებულ, აგრეთვე შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარ სატრანსპორტო საშუალებებს, ინვენტარსა და ინსტრუმენტს;

სსრ კავშირის სახბანკის საქალაქო განყოფილებასთან ერთად ახორციელებს ქალაქის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან საკრედიტო-საანგარიშსწორებო მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებებს;

— გაერთიანება მის შემადგენლობაში შემავალი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით:

წარმართავს საფინანსო მუშაობას, ახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და რენტაბელობის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების შენარჩუნებასა და ეფექტიანად გამოყენებას, დროულად ანგარიშსწორებას ბიუჯეტთან, სსრ კავშირის სახბანკის და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებთან, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებთან ხელფასის ხაზით;

წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებს განაცხადებს საჭირო კრედიტებზე და იტოვებს თავის განკარგულებაში რეზერვს კრედიტის თანხიდან, პასუხს აგებს კრედიტის მიზნობრივი გამოყენებისა და დროული დაფარვისათვის;

ამტკიცებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთა ნუსხებს;

აძლევს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებს საგარანტიო ვალდებულებებს დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანილი საწარმოებისათვის სესხების დაწესებულ ვადებში დაფარვის შესახებ;

— გაერთიანება ახორციელებს ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას, წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს ანგარიშებსა და ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ, პასუხს აგებს მათი უტყუარობისათვის იმ წესით, ფორმით და ვადებში, რაც დადგენილია შესაბამისი ორგანოების მიერ.

## V. გაერთიანების საქმიანობის კონტროლი, შემოწმება და რევიზია

1. გაერთიანების საქმიანობის შემოწმებასა და რევიზიას ატარებენ ზემდგომი ორგანო, სხვა შესაბამისი ორგანოები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. გაერთიანება უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების მიხედვით ახორციელებს სისტემატურ კონტროლს საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარისადმი, მათი საქმიანობის შემოწმებასა და რევიზიას,

უზრუნველყონ მუშაობის კომპლექსური ანალიზი, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნება, ეკონომიის რეჟიმის დაცვა.

3. გაერთიანება ახორციელებს შემოწმებას და მონაწილეობს მის შემადგენლობაში შემავალ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის რევიზიაში.

## VI. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. გაერთიანების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას ახდენენ ის ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებითაც იგი შეიქმნა.

2. გაერთიანების ლიკვიდაციის შემთხვევაში მისთვის მიჩენილი ფონდები, რეზერვი და სხვა ქონება გადაეცემათ ორგანიზაციებს ზემდგომი ორგანოს მითითებით.

3. გაერთიანებას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

## 5 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციების მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის მათი დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების, სამეურნეო ანგარიშის გამტკიცების საფუძველზე ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაყვანილ იქნენ 1986 წლის 1 იანვრიდან მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, აგრეთვე მისი საქვეუწყებო გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, მოყოლებული 1986 წლიდან, გაითვალისწინონ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში შემდეგი მაჩვენებლები, ლიმიტები და ეკონომიკური ნორმატივები:

ა) ხუთწლიან გეგმაში:

ტვირთზიდვის საერთო მოცულობა ტონობით (გაანგარიშებით);

მგზავრბრუნვა;

ახალი ტექნიკის. ტვირთზიდვისა და მგზავრთა მომსახურების ახალი მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავების, ათვისების, დანერგვისა და გამოყენების გაფართოების დავალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ, უწინარეს ყოვლისა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიას;

დანახარჯები შემოსავლის მანეთზე:

შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული შრომის ნაყოფიერების ზრდა;

სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედება სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

ძირითად სახეობათა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტები;

შემოსავლის 1 მანეთზე ხელფასის დანახარჯების ნორმატივი;

წარმოების განვითარების ფონდის შექმნის ნორმატივი (მოგებისაგან);

მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივი;

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნის ნორმატივი.

ეკონომიკური ნორმატივები უნდა შემუშავდეს საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში და დაეგზავნოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს დროულად, ხუთწლიანი გეგმის შედგენის დაწყებამდე. ხუთწლიან გეგმაში დაწესებული ნორმატივები შეცვლასა და ხელახლა დამტკიცებას არ ექვემდებარება.

მატერიალური წახალისების ფონდი და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი იქმნება მოგების (შემოსავლის) მასის პირდაპირი გადარიცხვის გზით.

ხუთწლიანი გეგმის პროექტს შეიმუშავებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ შეტყობინებული საკონტროლო ციფრების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტებისა და ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე;

ბ) წლიურ გეგმებში:

ტვირთზიდვის საერთო მოცულობა ტონობით — ტვირთგამგზავნებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესაფასებლად;

ტვირთზიდვის მოცულობა ტვირთგამგზავნი სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით ხელშეკრულებათა შესაბამისად;

მგზავრბრუნვა;

ახალი ტექნიკის, ტვირთზიდვისა და მგზავრთა მომსახურების ახალი მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავების, ათვისების, დანერგვისა და გამოყენების გაფართოების დავალებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ, უწინარეს ყოვლისა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიას;

მსუბუქი ტაქსის მუშაობის შემოსავლის მოცულობა;

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა;

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემის გარეთ რეალიზებული სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა (ძირითადი ნომენკლატურის მიხედვით);

მოგების საერთო თანხა;

დანახარჯები შემოსავლის მანეთზე;

შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული შრომის ნაყოფიერების ზრდა;

სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედება სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

ძირითად სახეობათა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდები;

სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ნორმატივი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი მოგების ოდენობა, აგრეთვე ხელფასის საერთო ფონდი განისაზღვრება წლიურ გეგმაში, დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, მისი საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში სამეურნეო საქმიანობის შეფასება ხორციელდება დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად ტვირთგამგზავნი სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით ტვირთზიდვის მოცულობის (ტონობით), მგზავრბრუნვის, მოგების, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის დამტკიცებული გეგმების შესრულების გათვალისწინებით, იმ გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და მათი საწარმოო ერთეულების გარდა, რომელთა შემოსავალი საქალაქო ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანისაგან შეადგენს შემოსავლის საერთო მოცულობის 50 პროცენტზე მეტს.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ აღძრას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გამოუყოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 1986 წელს საჭირო სახსრები.

5. ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების ღონისძიებათა განსახორციელებლად საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაფართოებისათვის უფლება მიეცეთ ამ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გამოიყენონ წარმოების განვითარების ფონდის სახსრები (შრომითი კოლექტივების თანხმობით) და ბანკების კრედიტები:

მოქმედ საწარმოთა და წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვის, აგრეთვე რეკონსტრუქციის დანახარჯების დასაფინანსებლად;

ახალი ტექნიკის გამოშვების მომზადებისა და პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესთა დანერგვის დანახარჯებისათვის;

ძირითად და დამხმარე წარმოებებში „ვიწრო“ ადგილების აღმოფხვრის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოების, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა განსახორციელებლად.

6. დაწესდეს, რომ წარმოების განვითარების ფონდს ქმნიან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ხუთწლეულისათვის სტაბილური ნორმატივების მიხედვით ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების დონისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესაბამისად.

წარმოების განვითარების ფონდის სახსრები არ ჩამოერთმევათ და შეიძლება დააგროვონ საწარმოებმა, გაერთიანებებმა და ორგანიზაციებმა მომდევნო საგეგმო პერიოდებში საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად. აღნიშნული სახსრები ინახება და გამოიყენება ბანკების დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას. ამ ფონ-

დის დროებით თავისუფალ სახსრებს ბანკები იყენებენ რესურსების სახით წარმოების ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის კრედიტების გასაცემად.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმოების განვითარების ფონდის სახსრების გამოყენებისათვის ბანკები უხდიან მათ პროცენტებს.

7. სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა წარმოების განვითარების ფონდის სახსრების უკმარობისას მისცენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმის ფარგლებში კრედიტები:

ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული საგეგმო დანახარჯებისათვის, იმ პირობით, რომ კაპიტალური დაბანდებანი ანაზღაურდეს საშუალო-დარგობრივი ნორმატივების ფარგლებში;

ბანკების კრედიტები დაიფაროს წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე ან გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა განკარგულებებში დატოვებული მოგების ხარჯზე.

ტექნიკური კვლავაღჭურვის მაღალეფექტიან ღონისძიებათა განსახორციელებლად (რომლებზეც მოთხოვნილება წარმოიშობა გეგმის შესრულების მსვლელობაში) სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის გადამეტებით, იმ პირობით, რომ დანახარჯები ანაზღაურდეს 5 წლამდე ვადაში.

8. დაწესდეს, რომ წარმოების განვითარების ფონდის სახსრებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები იყენებენ დამოუკიდებლად.

აღნიშნული გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები შეიმუშავებენ და ამტკიცებენ ზემოხსენებული ფონდის სახსრების ხარჯზე განსახორციელებული წარმოების ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმებს. ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმებში შეიტანება, უწინარეს ყოვლისა, ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძველებული საწარმოო ფონდების შეცვლის ტემპის ამაღლებასა და სამუშაოთა განხორციელებას შემჭიდროებულ ვადებში. ამასთან ტექნიკური კვლავაღჭურვის ნაცვლად დაშვებული არ უნდა იქნეს მოწყობილობის უბრალო შეცვლა.

გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები წარუდგენენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მონაცემებს ტექნიკური კვლავაღჭურვის (მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების) კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის შესახებ და წინადადებებს მისი განხორციელებისათვის საჭირო საიჯარო სამუშაოთა მოცულობის შესახებ, აგრეთვე ეფექტიანობის დამახასიათებელ კრებსით ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო აღრიცხავს აღნიშნულ კაპიტალურ დაბანდებებს სრული მოცულობით როგორც არა-

ცენტრალიზებულს და წარუდგენს მონაცემებს მათ შესახებ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების პროექტებთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს იმისათვის, რომ გაითვალისწინოს ისინი გეგმათა პროექტების შემუშავებისას.

9. დაწესდეს, რომ წარმოების განვითარების ფონდის სახსრებისა და კრედიტების ხარჯზე განსახორციელებელი ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს შეიმუშავებენ დამოუკიდებლად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები და დაამტკიცებენ მათი ხელმძღვანელები.

თუ ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონი მანეთი და მეტია, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო განიხილავს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმებს, აფასებს მათ ხარისხსა და ეფექტიანობას, განხორციელების დროულობასა და დასახულ ვადებში შესრულების შესაძლებლობას, აგრეთვე მათში გათვალისწინებულ დავალებათა შესაბამისობას დარგის განვითარების საერთო მიმართულებასთან და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე ტექნიკური კვლავაღჭურვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად აღნიშნული გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები წარუდგენენ ბანკების დაწესებულებებს დასაგეგმი წლის ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმის ამონაწერს და ცალკეულ სახეობათა სამუშაოებისა და დანახარჯების დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებს, ხოლო კრედიტის მიღებისას — აგრეთვე დასახულ ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებას.

10. დაწესდეს, რომ მეთორმეტე ხუთწლედის განმავლობაში საჭირო წანამძღვრების შექმნის კვალობაზე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები საცხოვრებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებების, პროფილაქტორიუმების, პიონერბანაკებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ გეგმებში კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გამოყოფა ცენტრალიზებული წყაროებიდან საწარმოო დანიშნულების ობიექტების იმ მშენებლობის დასაფინანსებლად, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ პირველ რიგში მიწის ნაკვეთების გამოყოფა და საქვეუწყებო ორგანიზაციების სამუშაოთა გეგმაში საცხოვრებელი სახლებისა და საბავშვო

დაწესებულებების დაპროექტებისა და მშენებლობის დავალებათა შეტანა, რაც ხორციელდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე.

11. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მოქმედ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის, წარმოების განვითარების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე საცხოვრებელი სახლებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოები უნდა განხორციელდეს როგორც საიჯარო, ისევე სამეურნეო წესით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ კაპიტალური მშენებლობის გეგმათა პროექტების შემუშავებისას უზრუნველყონ პირველ რიგში აღნიშნულ პროექტებში მოქმედ გაერთიანებათა, საწარმოთა დაორგანიზაციათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა შეტანა.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დაიწყონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შემუშავება იმით, რომ პირველ რიგში განიხილონ და სრული მოცულობით უზრუნველყონ მოთხოვნილება მოქმედ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის და წარმოების განვითარების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების და ბანკების კრედიტების ხარჯზე განსახორციელებელი არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინადადებანი ახალი მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის შესახებ და ამ მშენებლობისათვის მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე მოთხოვნილების უზრუნველყოფის შესახებ განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ მოქმედ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის ამ რესურსებზე განაცხადების დაკმაყოფილების შემდეგ.

13. დაწესდეს, რომ, მოყოლებული 1987 წლიდან, წარმოების განვითარების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და ბანკების კრედიტების ხარჯზე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სამეურნეო წესით შესრულებულ სამუშაოებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით (სახელობითი და იმპორტული მოწყობილობის გარდა) უზრუნველყოფენ უშუალოდ საქართველოს სსრ სახმომარაგების ორგანოები ზემოაღნიშნულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა განაცხადების მიხედვით, საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებმა (საწარმოებმა) სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებით დადგენილი წესით წარუდგინონ საქართველოს სსრ სახმომარაგების შესაბამის მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებს განაცხადები ამ სამუშაოებისათვის მოწყობილობასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე მოთხოვნილების შესახებ, ხოლო საქართველოს სსრ სახმომარაგებამ დაწესებულ ვადებში წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შესაბამისი მონაცემები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გეგმათა პროექტებში საქართველოს სსრ სახმომარაგებისათვის მატერიალური რესურსების გამოყოფა, რაც საჭიროა ამ მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე საიჯარო წესით განხორციელებული სამუშაოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა მოხდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 აპრილის № 387 დადგენილების 21-ე პუნქტით განსაზღვრული წესით.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, რომ პირველ რიგში გამოუყოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო სამუშაოთა საჭირო ლიმიტები, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა-ათვისებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა განსახორციელებლად.

15. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური წახალისების ფონდების ოდენობა დიდდება 15 პროცენტით, თუ ტვირთგამგზავნ სამინისტროებსა და უწყებებში ტვირთზიდვის გეგმა შესრულდება დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად, აღნიშნული გეგმის შეუსრულებლობისას მატერიალური წახალისების ფონდის ოდენობა მცირდება შეუსრულებლობის ყოველი პროცენტისათვის ფონდის დაგეგმილი ოდენობის 3 პროცენტით. ამასთან ერთ ტვირთმიმღებთა მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულება არ ჩაითვლება მეორის მიერ შესრულებაში.

16. უფლება მიეცეთ საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციას დაიტოვოს თავის განკარგულებაში შრომითი კოლექტივების თანხმობით მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად იმ საცხოვრებელი ფართობის 15 პროცენტამდე, რომელიც საექსპლუატაციოდ გადაეცა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ხარჯზე, და მისცეს (ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით) ამის ხარჯზე საცხოვრებელი ფართობი რიგგარეშე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს დადგენილი წესით გაფორმებით.

17. დაწესდეს, რომ ბანკების დაწესებულებები საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადასახდელ კრედიტებს მისცემენ 90 დღემდე ვადით. ნება დაერთოთ ბანკების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააგრძელონ ამ კრედიტით სარგებლობის ვადა 120 დღემდე, აგრეთვე შეაჩერონ გადასახდელი კრედიტების მიცემა იმ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ კრედიტის დაბრუნებას დაწესებულ ვადაში, ან მისცენ იგი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გარანტიით. 60 დღის გადამეტებით აღნიშნული კრედიტებით სარგებლობისათვის გადაახდევინონ გადიდებული პროცენტი.

უფლება მიეცეთ ბანკების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დიფერენცირებული გახადონ (შეამცირონ ან გაადიდონ 20 პროცენტამდე) იმ კრედიტის პროცენტიანი განაკვეთები, რაც ეძლევათ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათ მიერ ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების, საკუთარი საბრუნავი სახსრების რაციონალური გამოყენების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის შემცირების (გადიდების) შესაბამისად.

18. დაწესდეს, რომ მოგების ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შეაქვს ცენტრალიზებულად.

თუ მოგების გეგმის შესრულებას დააკლდება 2 პროცენტამდე, საფინანსო გეგმით გათვალისწინებული მოგების ნორმატიული ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება დაწესებული ოდენობით, ამასთან შესაბამისად შემცირდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს განკარგულებაში დატოვებული მოგების თანხა. მოგების გეგმის დიდი ოდენობით უკმარშესრულებისას ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტში და სამინისტროს განკარგულებაში დატოვებული მოგების ნაწილი შემცირდება შესაბამისი პროპორციებით.

19. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შექმნან ფინანსური რეზერვები საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის 5 პროცენტამდე ოდენობით მათ განკარგულებაში დატოვებული ზეგეგმითი მოგების ნაწილის ხარჯზე.

20. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ბიუჯეტში შეაქვთ დამატებითი გადასახდელი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული, ბანკის მიერ დაუკრედიტებელი მარაგის და დაუდგმელი მოწყობილობის ღირებულების 3 პროცენტის ოდენობით.

21. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიდან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროდან მიიღებენ ქალაქებში ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის საანგარიშსწორებო

ტარიფის გამოყენების წესს, რაც უზრუნველყოფს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებათა და საწარმოთა საგეგმო დანახარჯების ანაზღაურებას და მათ მიერ სათანადო მოგების მიღებას, დაუწესონ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესაბამისი საანგარიშსწორებო ტარიფი, ამასთან გაითვალისწინონ, რომ სხვაობა მოქმედ და საანგარიშსწორებო ტარიფს შორის სამინისტროს აუნაზღაურდება საქმიანობის სხვა სახეობათა მოგების ხარჯზე მისი გადანაწილების წესით.

22. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ:

— გააქტიუროს მუშაობა შინასამეურნეო ანგარიშის გასაღრმავებლად, რაც უზრუნველყოფს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა ქვედანაყოფის ორიენტაციას წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის; გააფართოოს გამსხვილებული კომპლექსური სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების შექმნის პრაქტიკა, იმ ვარაუდით, რომ მუშაკებს შრომა აუნაზღაურდეთ ბრიგადის შრომის საბოლოო შედეგების მიხედვით;

— საქალაქო ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის განვითარებით გაერთიანებათა და საწარმოთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით შემოიღოს სამოქმედოდ 1986 წლის 1 იანვრიდან ქალაქებში ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის საანგარიშსწორებო ტარიფი, რაც უზრუნველყოფს ამ საწარმოთა და გაერთიანებათა საგეგმო დანახარჯების ანაზღაურებას და სათანადო მოგების მიღებას;

— განამტკიცოს სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, ამასთან დააკისროს მათ საავტომობილო ტრანსპორტის ობიექტების მშენებლობის, ტექნიკური კვლავაღჭურვის, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა შესრულება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1986-1990 წლების გეგმათა პროექტებში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის სამშენებლო მექანიზმებისა და მოწყობილობის გამოყოფა იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შეთანხმებული მოცულობის შესასრულებლად, რაც ხორციელდება კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

23. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

ა) უფლება მისცა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს განახორციელონ ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზა-

ციო ანარიცხების სახსრების ნაწილის ხარჯზე დამატებითი დანახარჯები ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით. ამასთან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მოწყობილობის დადგმისა და მონტაჟისათვის საჭირო მოცულობით;

ბ) მიიღო გადაწყვეტილება:

— იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა დაინტერესება სახალხო მეურნეობის სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის ამაღლებით, მიეცეთ ხელმძღვანელ მუშაკებს წლის შედეგების მიხედვით პრემიები შემდეგი მაჩვენებლების შესაბამისად და ოდენობით:

დადებულ ხელშეკრულებათა თანახმად ტვირთზიდვის შესრულებისათვის — ორ თანამდებობრივ სარგომდე;

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით დაწესებულ საგეგმო დავალებათა, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების, ტვირთზიდვის მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის დავალებათა შესრულებისათვის და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვით ეკონომიკური ეფექტის მიღებისათვის — ორ თანამდებობრივ სარგომდე.

თითოეული ზემოაღნიშნული პრემია მიეცემათ პრემირების სხვა მაჩვენებლების შესრულების მიუხედავად;

— მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მაჩვენებლების დროებით გაუარესებისას ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკის მასობრივი ათვისების პერიოდში მიეცეთ მათ ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის შემცირების კომპენსაცია სამინისტროს შესაბამისი ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე;

გ) გააფართოვა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებანი დამტკიცებული მაჩვენებლებისა და ნორმატივების მიხედვით გამოანგარიშებული ხელფასის ფონდის გამოყენებაში:

უფლება მისცა ზემოაღნიშნულ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაუწესონ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე:

სატარიფო განაკვეთის სართი განსაკუთრებით პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს პროფესიული ოსტატობისათვის (III თანრიგის მუშებს — სატარიფო განაკვეთის 12 პროცენტამდე, IV თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგის მუშებს — 16 პროცენტამდე, V თანრიგის მუშებსა და მძღოლებს — 20 პროცენტამდე და VI თანრიგის მუშებს — 24 პროცენტამდე);

დანამატები მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელ მუშაკებს — თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე;

სარგოები განსაკუთრებით მნიშვნელოვან და პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს — თვეში 250 მანეთამდე ოდენობით.

ამ სართების, დანამატებისა და სარგოების ოდენობა განისაზღვრება ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის, შრომატევადობის, მასალატევადობისა და ენერგიატევადობის შემცირების, ტვირთზიდვის ხარისხის ამაღლებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების საქმეში თითოეული მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით. აღნიშნული სართები, დანამატები და სარგოები მცირდება ან უქმდება მთლიანად მუშაობის მაჩვენებლების გაუარესებისას;

სართი პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის მუშაკებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა კატეგორიის პერსონალს (ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მუშებს და ა. შ.), ზემდგომი ორგანოების მიერ შეთავსებული პროფესიების ნუსხის დაუმტკიცებლად.

მმართველობის აპარატის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების (სატარიფო განაკვეთების) სართები და დანამატები მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებებში არ შედის;

დ) ნება დართო საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს, რომელთა გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები გადაყვანილია მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე, დაუწესონ თანამდებობრივი სარგოების დანამატები საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს 50 პროცენტამდე ოდენობით გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციის ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე მუშაობაში მაღალი ეკონომიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

აღნიშნული დანამატები მცირდება ან უქმდება მუშაობის მაჩვენებლების გაუარესებისას;

ე) უფლება მისცა სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების წარდგენით ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში გაუდიდოს საჭირო შემთხვევებში მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს ხელფასის ფონდიდან გასაცემი პრემიების დაწესებული მაქსიმალური ოდენობა;

ვ) ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს, აგრეთვე მათს საქვეუწყებო საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც გადაყვანილია მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე, არ გამოიყენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 18 ნოემბრის № 970

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების 25-ე პუნქტით გათვალისწინებული პრემიების რეზერვირების წესი;

ზ) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანებებზე, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მუშაობენ, გაავრცელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 2 თებერვლის № 127 დადგენილების მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-15, მე-19 და მე-20 პუნქტების (სსრკ დადგ. კრებ., 1984 წ., № 6, მუხ. 30) მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 8 ოქტომბრის № 1043 დადგენილებით გათვალისწინებული დამატებებით და საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

24. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ივლისის № 522 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, მე-2 პუნქტის მესამე აბზაცის, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტების, მე-8 პუნქტის მეორე აბზაცის, მე-9 და მე-10 პუნქტების გარდა.

25. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს დებულება ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შესახებ და დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესახებ ამ დადგენილების დებულებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით წარმოუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

26. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, ფოთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, მარნეულის, ტყვარჩელის ტერიტორიულ-დარგთაშორისმა გაერთიანებებმა მიიღონ ეს დადგენილება სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად, გაუწიონ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება ამ დადგენილებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიებისა და დებულების კომპლექსურ განხორციელებაში.

27. რესპუბლიკის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობის გაძღოლის

ახალ პირობებზე გადაყვანის მომზადების ორგანიზაციისა და გადაყვანისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს ამხ. დავითაშვილს.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილებამ დააწესოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 7 თებერვალი, № 75.

## 6 მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, საწარმოო გაერთიანებების (საწარმოს) ხელფასის ფონდის შექმნის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, საწარმოო გაერთიანებების (საწარმოს) ხელფასის ფონდის შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 21 თებერვალი, № 116

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 21 თებერვლის [illegible] დად-
გენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) ხელფასის ფონდის შექმნის შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე მოკავშირე რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს, საწარმოო გაერთიანების, საწარმოს ხელფასის ფონდის შექმნის შესახებ სანიმუშო დებულების საფუძველზე, რომელიც რეკომენდებულია დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 1985 წლის 10 დეკემბრის № სა-590-49/468 წერილით, და ითვალისწინებს მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს,*) საწარმოო გაერთიანების, საწარმოს ხელფასის ფონდის ოდენობის განსაზღვრის წესს 1986-1990 წლებში.

2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს, საწარმოო გაერთიანებისა და საწარმოს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდი მორიგი წლის გეგმით იქმნება ორი ნაწილისაგან: ხელფასის საბაზრო ფონდისაგან და შრომის ნაყოფიერების გამოანგარიშებისათვის მიღებული მაჩვენებლით პროდუქციის (სამუშაოთა) მოცულობის ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში (მანეთი) ნორმატივის მიხედვით გამოანგარიშებული ფონდის გადიდების (შემცირების) თანხისაგან.

საცდელ-ექსპერიმენტულ საწარმოებში, სპეციალიზებულ საწარმოებში, რომლებიც იყენებენ ინვალიდთა, მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და შინმომუშავეთა შრომას, ადგილობრივი ნედლეულითა და ნარჩენებით მომუშავე საწარმოებში ცალკეულ შემთხვევებში ხელფასის ფონდი შეიძლება შეიქმნას პროდუქციის მანეთზე ხელფასის ნორმატივის მიხედვით.

ხალხური მხატვრული რეწვის საწარმოებში ხელფასის ფონდი იქმნება პროდუქციის წარმოების მოცულობის 1 მანეთზე სამრეწველო-საწარმოო პერ-

*) აქ და შემდგომ ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოდ ჩაითვალოს აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო

სონლის ხელფასის ნორმატივის მიხედვით, გამომდინარე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ ან მისი დავალებით, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხალხური მხატვრული რეწვის ნაკეთობათა სახეობების მიხედვით ჯგუფური ნორმატივებიდან და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ან ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს მიერ დამტკიცებული სხვადასხვა პროდუქციის მიხედვით ნორმატივიდან, რომლებიც შეიძლება დიფერენცირებულ იქნეს საწარმოების მიხედვით.

3. ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივები გათვალისწინებულ იქნება საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში და დაეგზავნებათ დადგენილი წესით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს, საწარმოო გაერთიანებას, საწარმოს დროულად, ხუთწლიანი გეგმის შედგენის დაწყებამდე, საჭირო შემთხვევებში ხუთწლიანი გეგმის დამტკიცებისას აღნიშნულ ნორმატივებში შეიძლება შეტანილ იქნეს დაზუსტებანი. ხუთწლიან გეგმაში დაწესებული ნორმატივები ხელახლა არ დამტკიცდება.

ნორმატივები წესდება იქიდან გამომდინარე, რომ საჭიროა მოქმედ საწარმოებში მიღებულ იქნეს, როგორც წესი, პროდუქციის (სამუშაოთა) მოცულობის მთელი ზრდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების და შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასი სზრდას შორის ეკონომიკურად დასაბუთებული თანაფარდობის დაცვის ხარჯზე.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შეუძლია დაუწესოს დიფერენცირებული ნორმატივები უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოებს, საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებს, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოებმა — საქვეუწყებო საწაროო გარეთიანებებს, საწარმოებს, გამომდინარე მთლიანად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს ხელფასის საანგარიშსწორებო ფონდიდან, რომელიც გამოთვლილია დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით.

საცდელ-ექსპერიმენტულ საწარმოებს, სპეციალიზებულ საწარმოებს, რომლებიც იყენებენ ინვალიდთა, მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და შინმომუშავეთა შრომას, ადგილობრივი ნედლეულითა და ნარჩენებით მომუშავე საწარმოებს, ხალხური მხატვრული რეწვის საწარმოებს პროდუქციის მოცულობის 1 მანეთზე ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივს დაუმტკიცებს სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანო წლიურ გეგმებში, ხოლო ხუთწლიან გეგმაში ეს ნორმატივი დაწესდება გაანგარიშებით.

4. წლიური გეგმების შემუშავებისათვის გარეთიანების, საწარმოს, ხელფასის საბაზო ფონდის წინა წლის ანგარიშის (მოსალოდნელი შესრულების) მიხედვით ძირითადი საქმიანობის პერსონალის ხელფასის ფონდი, გადიდებული ხელფასის ფონდის შედარებითი ეკონომიის თანხით ან შემცირებული პროდუქციის (სამუშაოთა) მოცულობის გეგმის შეუსრულებლობის პირობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელფასის საგეგმო ფონდთან შადარებით ფაქტიურად დარცხული ხელფასის გადამეტების თანხით.

ამასთან გაერთიანების, საწარმოს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის საბაზო ფონდი მეურნეობის გაძღოლის ახლ პირობებზე გადასვლის წინა წლის ანგარიშის (მოსალოდნელი შესრულების) მიხედვით დამატებით მცირდება არამწარმოებლური გაცემის თანხით მუშაობის ნორმალური პირობებისაგან გადახვევისათვის და ნამატების სახით გადახდილი თანხების არანაკლებ 50 პროცენტის ოდენობით და ზეგანაკვეთურ დროს მუშაობისათვის ყველა დანამატის (სადირექტივო ორგანოების სპეციალური გადაწყვეტილებებით ამ სამუშაოთა ნებართვის შემთხვევების გარდა) და მთელი დღის და ცვლებს შორის მოცდენის ყველა ანაზღაურების ოდენობით.

1986 წლამდე მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადასული საწარმოო გაერთიანებისათვის, საწარმოსათვის, რომელსაც არამწარმოებლური გაცემა არ გამოერიცხა მთლიანად ან ნაწილობრივ ხელფასის საბაზო ფონდიდან ეკონომიკურ ექსპერიმენტზე გადაყვანის მომენტში, აღნიშნული ხარჯები გამოერიცხება 1986 წლის ხელფასის საბაზო ფონდის ფორმირებისას.

საწარმოთა საქმიანობაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო წარმოების მოცულობის შემცირებისას საცდელ-ექსპერიმენტულ საწარმოებს ხელფასის საბაზო ფონდი შეუნარჩუნდებათ.

5. მოსალოდნელი შესრულების მიხედვით გამოანგარიშებული ხელფასის საბაზო ფონდი დაზუსტდება წლიური ანგარიშის მონაცემების საფუძველზე. ხელფასის წლიურ საბაზო ფონდს კვარტალების მიხედვით გაანაწილებს საწარმოო გარეთიანება, საწარმო დამოუკიდებლად და წლიური ანგარიშის მონაცემების მიხედვით დაზუსტების შემდეგ იგი არ შეიცვლება.

კვარტალების მიხედვით ხელფასის წლიური საბაზო ფონდის გა ნაწილებისას საწარმოო გაერთიანებამ, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ის მოთხოვნები, რომ საჭიროა ყოველ კვარტალში დაიცვას ეკონომიკურად დასაბუთებული თანაფარდობანი შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის. იმ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ კვარტალის გეგმაში საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს შრომის ნყაოფიერების ზრდას, ხელფასის საბაზო ფონდი დაწესდება დონეზე, რომელიც უდრის წინა წლის შესაბამისი კვარტალის ხელფასის ფაქტიურ ფონდს ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად ხელფასის არამწარმოებლური ხარჯების გამოქვითვით.

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოებს, საწარმოო გაერთიანებას, საწარმოს, რომელიც საექსპლუატაციოდ გადასცემს და ითვისებს ახალ სიმძლავრეებს, გამოეყოფა ხელფასის დამატებითი ფონდი, ხელფასის აღნიშნული დამატებითი ფონდი საწარმოო გაერთიანების, საწრმოს შრომის გეგმაში ცალკე აღირიცხება და შეიტანება სამრეწველო-საწაროოო პერსონალის ხელფასის ფონდის შემადგენლობაში.

საექსპლუატაციოდ გადასაცემი საწარმოებისა და ობიექტების (სიმძლავრეების) ნუსხებს მათი ათვისების ვადების აღნიშვნით დაამტკცებს საქართვე-

ლოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო დადგენილი წესით ათვისების ხანგრძლივობის ნორმებისა და დონეების გათვალისწინებით.

საწარმოო გაერთიანებას, საწარმოს, რომელსაც ძირითადი წარმოების ახალ სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიული ვადები გაუვიდა, ამ სიმძლავრეების ათვისებით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული ხელფასის დამა ტებითი ფონდი არ გამოეყოფა. ახალ კალენდარულ წელს აღნიშნული საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელფასის ფონდი დაიგეგმება მოქმედი გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის დადგენილი წესით.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის, ორგანოს, საწარმოო გაერთიანების, საწარმოს ხელფასის საერთო ფონდი განისაზღვრება გაანგარიშებით მთლიანად წლისათვის და კვარტალების მიხედვით როგორც ნორმატივის შესაბამისად შექმნილი სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდის, არასამრეწველო პერსონალისა და არასიონზრივი შემადგენლობის ხელფასის ფონდის, ახალასამოქმედებელი საწარმოებისა და ობიექტების მუშაკთა ხელფასის ფონდის, მეცნიერებისა და მეცნიერული მომსახურების მუშაკთა ხელფასის ფონდის ჯამი.

8. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანო შექმნიან დადგენილი წესით ხელფასის ფონდის რეზერვს. საგეგმო პერიოდისათვის სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდის რეზერვის განსასაზღვრად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს მიხედვით მთლიანად ხელფასის საბაზო ფონდი გამოიანგარიშება როგორც საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ხელფასის საბაზო ფონდების ჯამი. ასამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს ხელფასის ფონდის საერთო რეზერვი განისაზღვრება საგეგმო წლის სამრეწველო-საწარმოო და არასამრეწველო პერსონალის ხელფასის ფონდის რეზერვისა და გამოუყენებელი რეზერვის დაჯამებით.

რეზერვიდან შეიძლება საწარმოო გაერთიანებას, საწარმოს გამოეყოს დამატებითი ხელფასის ფონდი ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკის ათვისების პერიოდში საწარმოო გაერთიანების, საწარმოს მუშაობის მაჩვენებლების დროებით გაუარესების, წარმოებაში სტრუქტურული ძვრების, ნედლეულის რესურსების შემცირების, სტიქიური უბედურების, საწარმოო გაერთიანებაზე, საწამროზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოწყობილობის დაუგეგმავი გაჩერების შემთხვევაში.

ამ შემთხვევებში საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, სამინისტრო, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანო გამოუყოფენ საწარმოო გაერთიანებას, საწარმოს ხელფასის დამატებით ფონდს დამტკიცებული ნორმატივის შეუცვლელად, ხელფასის ფონდის აღნიშნული თანხა სამრეწველო-საწარმოო პერსონალის მიხედვით ცალკე აღირიცხება, საწარმოო გაერ-

თიანების, საწარმოს ხელფასის საბაზო ფონდში არ შედის და ბრუნდება სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს რეზერვში.

ხელფასის საბაზო ფონდიდან არ გამოირიცხება თანხები, რომლებიც გამოიყო სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს რეზერვიდან შრომის ანაზღაურების უპირატესობათა და შეღავათების შემოღებისათვის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, აგრეთვე თანხები, რომლებიც გათვალისწინებულია ხანგრძლივი ხასიათის მისაცემლებისათვის.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს შეუძლია გამოიყენოს ხელფასის ფონდის რეზერვი გაერთიანების, საწარმოს ხელფასის ფონდის გდახარჯვის თანხის გადასახდელად და დადგენილი წესით მისი ანაზღაურებისათვის.

როდესაც გაერთიანება, საწარმო ა ნაზღაურებს ხელფასის ფონდის გადახარჯვის თანხებს წლის განმავლობაში მისი წარმოქმნის მოენტიდან, ზემდგომი ორგანიზაციის მიერ ხელფასის ფონდის რეზერვიდან ადრე გამოყოფილი თანხები აღდგება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის მართვის ორგანოს რეზერვში.

9. კონტროლს საწარმოო გაერთიანების, საწარმოს მიერ ხელფასის ფონდის ხაზჯვისადმი ახორციელებენ სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებანი კვარტალობრივად.

ხელფასის სახსრები საწარმოო გაერთიანებას, საწარმოს სამრეწველო-საწარმოო პერსონალისათვის მიეცემათ:

საწარმოებს, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ პროდუქციის მოცულობის ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში ხელფასის ფონდის ზრდის (შემცირების) ნორმატივი — გაომდინარე კვარტალისათვის დაწესებული ხელფასის საბაზო ფონდიდან, რომელიც დიდდება (მცირდება) ხელფასის ფონდის ზრდის (შემცირების) დამტკიცებული ნორმატივის და საანგარიშო კვარ--ტალში პროდუქციის მოცულობის ფაქტიური ზრდის (შემცირების) მიხედვით გამოანგარშებული ფონდის ზრდის (შემცირების) თანხით შრომის ნაყოფიერების გამოანგარიშებისათვის მიღებული მაჩვენებლის მიხედვით. ნაყოფიერების გამოანგარიშებისათვის მიღებული მაჩვენებლის მიხედვით. ამასთან საცდელ-ექსპერიმენტულ საწარმოებს, რომლებმაც საანგარიშო კვარტალში (წელიწადში) შეამცირეს პროდუქციის მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და ამ მიზეზეს გამო შეტანილი არიან საწარმოთა სიებში, რომელთაც საბაზო ფონდი უნარჩუნდებათ, ხელფასის საბაზო ფონდის ფარგლებში შესაბამისი შემცირების გარეშე. სამრეწველო საწარმოო პერსონალისათვის საცდელ-ექსპერიმენტულ საწარმოთა ხელფასის კუთვნილი სახსრების ოდენობა დაზუსტდება წლის მუშაობის შედეგების მიხედვით;

სპეციალიზებულ საწარმოებს, რომლებიც იყენებენ ინვალიდთა, მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და შინმომუშავეთა შრომის, ადგილობრივი

ნედლეულითა და ნარჩენებით მომუშავე საწარმოებს, საცდელ-ექსპერიმენტულ საწარმოებს, რომლებსაც ცალკეულ შემთხვევებში დამტკიცებული აქვთ პროდუქციის 1 მანეთზე ხელფასის ნორმატივი, აგრეთვე ხალხური მხატვრული რეწვის საწარმოებს — დადგენილი წესით.

---

ინდექსი—76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1, 1986 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII-86 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.

შეკვეთა 530 უე 13704 ტირაჟი 2010

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.